

შეთანხმებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან ოქმი N3 29.07.2020
დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N04-126 30.07.2020

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის
2020 – 2026 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმა



ქ. მცხეთა

2020

შესავალი

სსიპ - ილია წინამძვრიშვილის სახელობის კოლეჯის 2020–2026 წლების განვითარების სტრატეგია კოლეჯში პროფესიული განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტია. სტრატეგიული განვითარების გეგმა, გვიჩვენებს ორგანიზაციის ხედვას და კოლეჯის მიერ, მრავალწლიან პერსპექტივაში, დანახულ განვითარების მიმართულებებს ასახავს.

მუდმივად ცვალებადი გარემო საშუალებას არ იძლევა შევჩერდეთ მიღწეულ შედეგებზე, სხვა სიტყვებით, გარდაქმნის არსი კოლეჯის მართვის ადაპტირებადი სისტემის შექმნაში მდგომარეობს. ასეთი მოქნილი სისტემის შექმნის საფუძველია სტრატეგიული გეგმის შემუშავება და მისი განხორციელება. იგი მოიცავს გრძელვადიან ხედვებს, სტრატეგიულ მიზნებს და ამოცანებს. სტრატეგიული გეგმა გათვლილია 7 წელზე და მისი გადახედვა მოხდება სულ მცირე 1 წელიწადში ერთხელ.

სტრატეგიული გეგმის ჩამოყალიბების მიზანია გამოკვეთოს პრიორიტეტები და სტრატეგიული მიმართულებები, რომლითაც კოლეჯი იხელმძღვანელებს განვითარების პროცესში. სტრატეგია წარმოადგენს კოლეჯის დირექციის, ადმინისტრაციის, ყველა თანამშრომლის, სტუდენტების და სხვა დაინტერესებული მხარეების (დაინტერესებულ მხარეებად განისაზღვრება-აპლიკანტი, პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ან/და მისი კანონიერი წარმომადგენელი, ადმინისტრაციის თანამშრომელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, პარტნიორი კომპანიის წარმომადგენელი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი) ხედვას და სრულ თანხვედრაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების სამომავლო განვითარების ხედვასთან.

სტრატეგიაში ჩამოყალიბებულია პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები, რომელთა განხორციელებამ კონკრეტული სამოქმედო გეგმის მიხედვით ხელი უნდა შეუწყოს კოლეჯის განვითარებას (ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები), ადამიანური რესურსების მდგრად გაუმჯობესებას (შესაძლებლობებისა და პოტენციალის განვითარებას, დასაქმების თუ თვითდასაქმების შესაძლებლობას, შემოსავლის მიღებას და თვითრეალიზებას), პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების და მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამების განვითარებას, პროფესიული განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, პროფესიული სტუდენტებისათვის მხარდაჭერი ღონისძიებების გატარებას, შრომის ბაზრის ამჟამინდელი თუ სამომავლო მოთხოვნების დაკმაყოფილებით რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას, სიღარიბის შემცირებას და კრიზისულ სიტუაციებში კოლეჯის მოქნილობას.

სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N629 დადგენილების (პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ) საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 თებერვლის ბრძანება N256-ის მიხედვით.

სტრატეგიის წარმატებით განხორციელებაზე პასუხისმგებლობას იღებს კოლეჯი სამინისტროს, სააგენტოების, დამსაქმებლების, დასაქმებულებისა და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების, კოლეჯის მასწავლებლების, სტუდენტებისა და მათი მშობლების, მთლიანად, სამოქალაქო საზოგადოებისა და ყველა დაინტერესებული პირის აქტიური ჩართულობითა და მონაწილეობით.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში არსებული ხელსაყრელი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით პრიორიტეტული მიმართულებებია სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, მომსახურება, ჯანდაცვა, ხელოვნება და ტურიზმი. სოფლის მეურნეობის სფეროში მაღალი მოთხოვნა ფიქსირდება ისეთ პროფესიულ საგანმანათლებლო და მოკლევადიან მომზადებისა და გადამზადების პროგრამებზე, როგორცაა - მევენახეობა-მეღვინეობა, მეფუტკრეობა, ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება, ვეტერინარია, მეხილეობა, მებაღეობა, პირუტყვის მოშენება ბიომეთოდებით, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების წარმოება, ფრინველის მოშენება, ხეხილის ბაღის გაშენება და მოვლა, ფუტკრის მოვლა-პატრონობა, ვაზის ნერგის წარმოება და ვენახის შევსება ახალი ნერგით, ყურძნის გადამუშავება და ვინიფიკაცია, ღვინის მოვლა, ტექნოლოგიური დამუშავება და ჩამოსხმა, ტყის აღდგენა გაშენება; მშენებლობის სფეროში ორგანიზაციების მხრიდან მოთხოვნადი პროფესიებია: იატაკისა და ფილის სამუშაოები, თაბაშირმუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი, ქვის სამუშაოების წარმოება, შემდუღებელი, ელექტრომემონტაჟე, სანტექნიკოსი, ელექტროობა, ხის მხატვრული დამუშავება, დურგალი. მომსახურების სფეროში მოთხოვნადი პროფესიებია: მიმტანი, ბარმენი, თმისა და სილამაზის მომსახურება, სავალი ნაწილის შეკეთება, ძიძა, ბუღალტრული აღრიცხვა, საოფისე საქმე, საინფორმაციო ტექნოლოგიები. ტურიზმის სფეროში ყველაზე დიდი მოთხოვნა კულინარიის ხელოვნება, სასტუმრო საქმე, დისტრიბუტორი, მძღოლი; ხელოვნების სფეროდან-ხის მხატვრული დამუშავება, თექის დამზადება, მხატვრული ქსოვილები, მომინანქრება, კერამიკული ნაწარმის დამზადება. ჯანდაცვის სფეროდან მოთხოვნადი პროფესიებია: ფარმაცია და საექთნო საქმე.

ორგანიზაციის შესახებ

მამულის გაკეთება და ნივთიერის ცხოვრების წინ წასვლა შეიძლება მხოლოდ წერა-კითხვის, სოფლის სამეურნეო და სახელოსნო ცოდნის გავრცელებით მცხოვრებთა შორის,

ილია წინამძღვრიშვილი

1883 წლის 4 სექტემბერს ილია წინამძღვრიშვილის ხელმძღვანელობით წინამძღვრიანთკარში გაიხსნა პირველი სასოფლო - სამეურნეო სკოლა. 1924 წელს სკოლას დაემატა სპეციალური კლასი და სასოფლო სამეურნეო სასწავლებელი დაერქვა, 1928 წლიდან ეწოდა_ წინამძღვრიანთკარის ცენტრალური საცდელ - საჩვენებელი სასოფლო - სამეურნეო სასწავლებელი.1933 წლიდან სასწავლებელს ეწოდა სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმი.1966 წლიდან იწოდება წინამძღვრიანთკარის წინამძღვრიშვილის სახელობის საბაზო სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმი.

1993 წლიდან სასწავლებელი გადაკეთდა, როგორც წინამძღვრიანთკარის წინამძღვრიშვილის სახელობის ჰუმანიტარულ – ეკოლოგიურ კოლეჯი, ხოლო 2008 წლიდან ორი სასწავლებლის რეორგანიზაციის (მცხეთის პროფესიული ლიცეუმის და წინამძღვრიანთკარის ჰუმანიტარულ ეკოლოგიური კოლეჯის) შედეგად, ჩამოყალიბდა სსიპ წინამძღვრიანთკარის წინამძღვრიშვილის პროფესიული სწავლების ცენტრი. 2010 წელს მოხდა სასწავლებლის ლიკვიდაცია. 2014 წლის 17 ივნისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი, ხოლო 2019 წლის 19 ივნისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი.

კოლეჯის სამართლებრივი ბაზა

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირია და მის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სამინისტრო.

კოლეჯი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. ის ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით, „პროფესიული განათლების შესახებ“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, თავისი წესდებითა და შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

კოლეჯს აქვს დამოუკიდებელი ფინანსური ანგარიშგება, საბანკო/სახაზინო ანგარიში, ბეჭედი და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები. კოლეჯის ძირითადი სასწავლო ფართი მდებარეობს მისამართზე: მცხეთის რაიონი სოფელი წინამძღვრიანთკარი. კოლეჯის დამატებითი სასწავლო ფართები მდებარეობს დაბა თიანეთსა და დაბა სტეფანწმინდაში.

კოლეჯის მიზანია პროფესიული სტუდენტების/მსმენელების თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვა და მათი პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა. თავისი მიზნების მისაღწევად კოლეჯის საქმიანობის საგანს წარმოადგენს: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება; მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება; პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელება; სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების განხორციელება; ტრენინგ კურსებისა და პროგრამების განხორციელება არაფორმალური განათლების ფარგლებში; ერთობლივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან/დაწესებულებებთან ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით; გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით.

კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

კოლეჯი მდიდარი ტრადიციების მქონე სასწავლებელია, რომელიც საქართველოში სოფლის მეურნეობის, მომსახურების, ჯანდაცვის, ტურიზმის სფეროს კადრების მომზადების ერთ-ერთ ძირითად კერას წარმოადგენს. კოლეჯს ღირსეული ადგილი უკავია საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში და ერთ-ერთი წამყვანი დაწესებულებაა. წლების განმავლობაში კოლეჯში მეტად მნიშვნელოვანი გარდაქმნები მიმდინარეობს, რომელიც სტუდენტური სერვისების დანერგვას, სასწავლო პროცესების თვისობრივ გარდაქმნას, განახლებას და ინფრასტრუქტურის სრულყოფას მოიცავს. კოლეჯს აქვს რამდენიმე ძირითადი ნაგებობა: სასწავლო კორპუსები, საერთო საცხოვრებლისთვის გამოყოფილი ფართები. ასევე, პრაქტიკული სწავლებისათვის მოწყობილი და აღჭურვილია სახელოსნოები, საფუტკრე მეურნეობა, თანამედროვე მოთხოვნათა დონეზეა მოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიები და ბიბლიოთეკა. ინტერნეტით უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკა. სასწავლო პროცესისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოწყობილია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. მოთხოვნადი პროფესიების დამატებისათვის კოლეჯი საჭიროებს ახალი სახელოსნოების მშენებლობას და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებას.

კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის **კოლეჯის მისიაა** მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრები, როგორც ადგილობრივი, ისე ქვეყნის მასშტაბით შრომის ბაზრისთვის; ხელი შეუწყოს უწყვეტი განათლების მიღების შესაძლებლობის გაზრდას; რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, კოლეჯი ორიენტირებულია სოფლის მეურნეობის, ტურიზმისა და მომსახურების სფეროზე, რითაც ხელს უწყობს რეგიონის სოციალურ - ეკონომიკურ განვითარებას.

კოლეჯი:

- ნერგავს თანამედროვე ტექნოლოგიებს
- ზრუნავს კადრების მუდმივ განვითარებაზე
- ამყარებს კავშირებს კერძო სექტორთან და უცხოელ პარტნიორებთან
- ხელს უწყობს სტუდენტების გაცვლით პროგრამებში ჩართვას
- ხელს უწყობს დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობასა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას პროფესიული გადამზადების და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების შეთავაზებით
- ხელს უწყობს კურსდამთავრებულებს საკუთარი ბიზნესის წამოწყებასა და თვითდასაქმებაში კონსულტირების გზით
- აქტიურად თანამშრომლობს კერძო სექტორთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საერთო მიზნების (კვალიფიციური კადრების მომზადება და ეკონომიკის განვითარება) მისაღწევად

კოლეჯის ხედვა: კოლეჯი 2023 წლისათვის ჩამოყალიბდეს ლიდერ კოლეჯად კვალიფიციური კადრების მომზადების და კურსდამთავრებულთა დასაქმების კუთხით, რითაც ხელს შეუწყობს რეგიონის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას.

კოლეჯის ღირებულებებია

- თანამშრომლობითი და თანასწორი გარემოს შექმნა
- ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა
- გუნდური მუშაობის უზრუნველყოფა
- სწავლის თანაბარი ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა
- ინოვაციების მხარდაჭერა
- დაწესებულების ღიაობა, გამჭვირვალობა

Swot ანალიზი

ძლიერი მხარეები:	სუსტი მხარეები:
<ul style="list-style-type: none"> • რეგიონში ერთადერთი პროფესიული კოლეჯი; • რეგიონის საჭიროებებზე მორგებული პროფესიები; • ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით შედგენილი პროფესიული პროგრამები; • პროგრამაზე ადაპტირებული გარემო და მათი განხორციელება • საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი აუდიტორიები, სახელოსნოები; • გამოყოფილი სატრენინგო ფართები. • შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემო; • დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობა; • პროფესიული მომზადება და გადამზადება ნებისმიერი ასაკის ადამიანისათვის; • მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშეწყობა; • კადრების განვითარებაზე ზრუნვა და ხელშეწყობა 	<ul style="list-style-type: none"> • მოდულური პროგრამებისთვის არასაკმარისი სახელოსნოები • კვალიფიციური პროფესიული მასწავლებლების სიმცირე • საერთო საცხოვრებელი სტუდენტებისთვის; • კვების ობიექტის არ არსებობა კოლეჯში; • ტრანსპორტის ნაკლებობა სტუდენტების გადაადგილების ხელშეწყობისათვის • რეგიონებში დამატებითი სასწავლო ფართების სიმცირე • პიარის ნაკლებობა და არაცნობადობა
შესაძლებლობები:	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • მეტი მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამების დანერგვა; • კოლეჯის შესახებ ცნობადობის გაზრდა, 	<ul style="list-style-type: none"> • კერძო სექტორის პასიურობა; • კონკურენციის ზრდა; • ბაზრის მოთხოვნების სწრაფი ცვლილებები; • ბიუროკრატიული მექანიზმები;

<ul style="list-style-type: none"> • პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობა; • თანამედროვედ აღჭურვილი პრაქტიკის ობიექტების მოძიება • დონორი ორგანიზაციების დაინტერესება და მხარდაჭერა; • მსგავსი პროფილის ევროპულ კოლეჯებთან თანამშრომლობა; • ადამიანური რესურსის გაძლიერება • ისტორიული ძეგლის შენობის რეაბილიტაცია და ტრენინგ ცენტრის მოწყობა; • პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერა • დუშეთის დამატებითი სასწავლო ფილიალის გახსნა • ახალ პროექტებში ჩართვა • გაცვლითი პროგრამების მხარდაჭერის გაძლიერება 	<ul style="list-style-type: none"> • პარტნიორი საწარმოების; მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტა; • შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემო პრაქტიკის ობიექტებზე; • პროფესიულ განათლებაში ონლაინ სწავლების ნაკლები შესაძლებლობა
--	--

სტრატეგიული მიზნები

1. ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება
2. არსებული პროფესიული საგანმ. პროგრამების განვითარება
3. მატერიალური რესურსისა და ინფრასტრუქტურის განვითარება
4. სტუდენტების მხარდაჭერის სერვისის განვითარება
5. კოლეჯის ადამიანური რესურსების განვითარება;
6. ხარისხის მექანიზმების განვითარება;
7. კოლეჯის ცნობადობის გაზრდაზე ზრუნვა

7 წლიანი სტრატეგიული გეგმა

გეგმის განხორციელება წლების მიხედვით

სტრატეგიული მიზნის შესაბამისი ამოცანები	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი და პროცესში ჩართული პირები
სტრატეგიული მიზანი 1: ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება									
მოთხოვნადი და რეგიონზე მორგებული პროგრამების დამატება მოდულური და დუალური მიდგომით	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	დამატებული პროგრამები	კოლეჯის დირექტორი ხარისხის მართვის მენეჯერი პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი სასწავლო პროცესის მენეჯერი ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი საქმისწარმოების სპეციალისტი შესყიდვების სპეციალისტი იურისტი საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი ბუღალტერი ლოჯისტიკის სპეციალისტი ბიბლიოთეკარი

									რეესტრის სპეციალისტი ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ქსელის ადმინისტრატორი პროგრამის ხელმძღვანელი პროფესიული მასწავლებელი
მე-4 დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განათლების ინტეგრირება ზოგადი კომპონენტის	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	ინტეგრირებული პროგრამები	კოლეჯის დირექტორი ხარისხის მართვის მენეჯერი პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი სასწავლო პროცესის მენეჯერი ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი საქმისწარმოების სპეციალისტი შესყიდვების სპეციალისტი იურისტი

									ქსელის ადმინისტრატორი ლოჯისტიკის სპეციალისტი ბიბლიოთეკარი ბუღალტერი რეესტრის სპეციალისტი ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი პროგრამის ხელმძღვანელი პროფესიული მასწავლებელი
მოკლევადიანი მომზადება- გადამზადების პროგრამებისა და კურსების დამატება/განხორციელება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	დამატებული მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამები	კოლეჯის დირექტორი ხარისხის მართვის მენეჯერი ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი
სტრატეგიული მიზანი 2: არსებული პროფესიული საგანმ. პროგრამების განვითარება									
სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გაზრდა პროგრამებზე		✓		✓		✓		სტუდენტების გაზრდილი ზღვრული რაოდენობა	კოლეჯის დირექტორი ხარისხის მართვის მენეჯერი

									<p>პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი</p> <p>სასწავლო პროცესის მენეჯერი</p> <p>ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი</p> <p>საქმისწარმოების სპეციალისტი</p> <p>შესყიდვების სპეციალისტი</p> <p>იურისტი</p> <p>ბუღალტერი</p> <p>ლოჯისტიკის სპეციალისტი</p> <p>ბიბლიოთეკარი</p> <p>რეესტრის სპეციალისტი</p> <p>ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი</p> <p>მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი</p> <p>შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი</p> <p>პროგრამის ხელმძღვანელი</p> <p>საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი</p>
<p>პროფესიულ საგანმანათლებლო</p>	V	V	V	V	V	V	V	<p>გაუმჯობესებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები</p>	<p>კოლეჯის დირექტორი</p>

პროგრამების გაუმჯობესებაზე ზრუნვა									ხარისხის მართვის მენეჯერი სასწავლო პროცესის მენეჯერი საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელი პროფესიული მასწავლებელი
პროგრამის ფარგლებში არსებული მატერიალური რესურსისა და მასალა- ნედლეულის გადახედვა- გაუმჯობესებაზე ზრუნვა	V	V	V	V	V	V	V	გაუმჯობესებული მატერიალური რესურსი და მასალა-ნედლეული	კოლეჯის დირექტორი ხარისხის მართვის მენეჯერი მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი ბუღალტერი სამეურნეო მართვის მენეჯერი
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნა	V	V	V	V	V	V	V	დანიშნული პროგრამის ხელმძღვანელები	კოლეჯის დირექტორი
სტრატეგიული მიზანი 3: მატერიალური რესურსისა და ინფრასტრუქტურის განვითარება									
კვების ობიექტის მოწყობა კოლეჯის ტერიტორიაზე		V	V	V				მოწყობილი კვების ობიექტი	კოლეჯის დირექტორი

დაწესებულების ინფრასტრუქტურის შეფასება და განვითარება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა	ხარისხის მართვის მენეჯერი შესყიდვების სპეციალისტი
საერთო საცხოვრებლის აშენება ან/და არსებულის გარემონტება	✓	✓	✓	✓				აშენებული ან/და გარემონტებული საერთო საცხოვრებელი	იურისტი ბუღალტერი ლოჯისტიკის სპეციალისტი
კოლეჯის ისტორიული შენობის რეაბილიტაცია და ტრენინგ-ცენტრის მოწყობა	✓	✓	✓					რეაბილიტირებული შენობა, მოწყობილი ტრენინგ-ცენტრი	მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი შრომის
სატრანსპორტო საშუალების დამატება სტუდენტებისა და თანამშრომლების შეუფერხებლად გადაადგილებისთვის	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	დამატებული მიკროავტობუსი	უსაფრთხოების სპეციალისტი სამეურნეო მართვის მენეჯერი
კოლეჯის სამივე სასწავლო კორპუსში აუდიტორიებისა და სახელოსნოების დამატება		✓	✓	✓	✓	✓	✓	დამატებული აუდიტორიები და სახელოსნოები	
დუშეთის დამატებითი სასწავლო ფართის გახსნა		✓	✓	✓	✓	✓	✓	გახსნილი დუშეთის სასწავლო ფართი	
საინფორმაციო და სასწავლო რესურსის განვითარება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	გაუმჯობესებული საინფორმაციო და სასწავლო რესურსი	კოლეჯის დირექტორი ხარისხის მართვის მენეჯერი სასწავლო პროცესის მენეჯერი საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი ქსელის ადმინისტრატორი

									ბიბლიოთეკარი პროგრამის ხელმძღვანელი პროფესიული მასწავლებელი	
სტრატეგიული მიზანი 4: სტუდენტების მხარდაჭერის სერვისის განვითარება										
პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მხარდაჭერის ღონისძიებების უზრუნველყოფა	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	დანერგილი ღონისძიებები სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის	მხარდაჭერის პროფესიული	კოლეჯის დირექტორი ხარისხის მართვის მენეჯერი სასწავლო პროცესის მენეჯერი საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი ქსელის ადმინისტრატორი ბიბლიოთეკარი მედა იურისტი პროგრამის ხელმძღვანელი პროფესიული მასწავლებელი
პროფესიული სტუდენტების/მსმენელების კარიერული მხარდაჭერის უზრუნველყოფა	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	გაუმჯობესებული მხარდაჭერის სერვისი	კარიერული	კოლეჯის დირექტორი პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი

									პროგრამის ხელმძღვანელი
გაცვლითი პროგრამების უზრუნველყოფა	V	V	V	V	V	V	V	განხორციელებული პროგრამები	გაცვლითი კოლეჯის დირექტორი ხარისხის მართვის მენეჯერი პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელი
პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა უფლებების დაცვაზე ზრუნვა	V	V	V	V	V	V	V	კოლეჯის შიდა მარეგულირებლით განმტკიცებული პროფესიული სტუდენტების/მსმენელების უფლებების დაცვა	კოლეჯის დირექტორი ხარისხის მართვის მენეჯერი ქსელის ადმინისტრატორი ბიბლიოთეკარი მედდა იურისტი პროგრამის ხელმძღვანელი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი
სტუდენტების, კურსდამთავრებულების დასაქმების, საჭიროებებისა და კმაყოფილების კვლევა	V	V	V	V	V	V	V	ჩატარებული კვლევები	კოლეჯის დირექტორი ხარისხის მართვის მენეჯერი პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი ქსელის ადმინისტრატორი

სტრატეგიული მიზანი 5: კოლეჯის ადამიანური რესურსების განვითარება									
კოლეჯის ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბება და ყოველწლიური გადახედვა	V	V	V	V	V	V	V	კოლეჯის მიზნებიდან გამომდინარე ჩამოყალიბებული ორგანიზაციული სტრუქტურა	კოლეჯის დირექტორი ხარისხის მართვის მენეჯერი იურისტი სასწავლო პროცესის მენეჯერი საქმისმწარმოებელი
პერსონალის მხარდაჭერასა და განვითარებაზე ზრუნვა	V	V	V	V	V	V	V	პერსონალის მხარდაჭერისა და განვითარების გაუმჯობესებული სერვისი	
ადამიანური რესურსის მოზიდვა ან/და მათი პერიოდული გადამზადება, საჭიროებიდან გამომდინარე მათი სტიმულირების სისტემის განვითარება	V	V	V	V	V	V	V	გადამზადებული ადამიანური რესურსი	
პერსონალის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა		V	V	V	V	V	V	ჩატარებული კვლევები	
პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობა	V	V	V	V	V	V	V	კვალიფიციური პროფესიული მასწავლებლები	
ახალი საშტატო ერთეულების დამატება	V	V						დამატებული საშტატო ერთეული	

<p>პროგრამების ხელმძღვანელების საშტატო ერთეულების მოთხოვნა-დამატება</p>	V	V	V	V	V	V	V	<p>პროგრამების ხელმძღვანელის დამატებული საშტატო ერთეული</p>	
<p>სტრატეგიული მიზანი 6: ხარისხის მექანიზმების განვითარება</p>									
<p>თვითშეფასების განხორციელება ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად</p>	V			V			V	<p>თვითშეფასების ანგარიშები</p>	<p>კოლეჯის დირექტორი ხარისხის მართვის მენეჯერი პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი სასწავლო პროცესის მენეჯერი ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი საქმისწარმოების სპეციალისტი შესყიდვების სპეციალისტი იურისტი საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი ბუღალტერი ლოჯისტიკის სპეციალისტი ბიბლიოთეკარი რეესტრის სპეციალისტი ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი</p>
<p>პსდ-ს ავტორიზაციისთვის მომზადება და ავტორიზაციის გავლა</p>		V	V					<p>ავტორიზებული დაწესებულება</p>	

									მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ქსელის ადმინისტრატორი სამეურნეო მართვის მენეჯერი მედდა პროგრამის ხელმძღვანელი
შიდა ვერიფიკაციის განხორციელება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	შიდა ვერიფიკაციის პროცესის ანგარიშები	კოლეჯის დირექტორი ხარისხის მართვის მენეჯერი ვერიფიკაციის ჯგუფი
კვლევების ჩატარება ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	ჩატარებული კვლევები	კოლეჯის დირექტორი ხარისხის მართვის მენეჯერი
სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი, შიდა რეგულაციების შესაბამისად	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	განხორციელებული მონიტორინგის ანგარიშები	
სტრატეგიული მიზანი 7: კოლეჯის ცნობადობის გაზრდაზე ზრუნვა									

<p>პროფორიენტაციული სახის აქტივობების განხორციელებაზე ზრუნვა</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>განხორციელებული პროფორიენტაციული აქტივობების ანგარიშები</p>	<p>კოლეჯის დირექტორი ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი</p>
<p>საზოგადოებასთან ურთიერთობის ღონისძიებების ხელშეწყობა (სოციალური გვერდისა და ვებ-გვერდის აქტიური გამოყენება, მედიასთან ურთიერთობა და სხვ.)</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>გაუმჯობესებული ვებ გვერდი და სოციალური ქსელის გვერდი</p>	<p>კოლეჯის დირექტორი ქსელის ადმინისტრატორი პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი</p>
<p>პროექტებში მონაწილეობის მიღება</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>განხორციელებული პროექტების ანგარიშები</p>	<p>კოლეჯის დირექტორი ხარისხის მართვის მენეჯერი ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი</p>